

აკადემიკოსი კ. ქაქელიძე

„წინაშე“, „თანა“ და „ზედა“ თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის ძველ ქართულში. I

ქართული თანდებულების ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად ის გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ მათთან დაკავშირებულ სახელებს ზოგი თანდებული მხოლოდ ერთ ბრუნვაში მართავს, ზოგი ორში.

თანდებულთა შორის ჩვენი ყურადღება, ძველი ძეგლების კითხვასა და გამოცემასთან დაკავშირებით, საგანგებოდ სამმა მიიპყრო; ესენია: „წინაშე“, „თანა“ და „ზედა“. ჩვენ საჭიროდ დავინახეთ გაგვეზიარებინა ჩვენი დაკვირვებანი ენათმეცნიერთათვის. ამისათვის მოვიყვანთ ლიტერატურული ძეგლებიდან ამ თანდებულთა „მმართველობითი“ ხასიათის მაგალითებს. წინასწარ შევნიშნავთ შემდეგს:

1. შესწავლილია უძველესი ხანის ძეგლები მეხუთე საუკუნიდან მეათემდე. მეათე საუკუნეს არ ვადმოვცილებივართ, რადგანაც, როგორც ცნობილია, მეათერთმეტე საუკუნიდან ე. წ. „კლასიკური“ ნორმები ძველი ქართული ენისა საგრძნობლად ირყევა და ირღვევა.

2. თანდებულთა დაკვირვება-შესწავლისათვის აღებულია გამოქვეყნებული ძეგლები, გარდა სამი შემთხვევისა (C, H, L).

3. მხედველობაში მიღებულია ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვები, რომელთაც მოითხოვს დასახელებული თანდებულები, მხოლოდობითი რიცხვისა, მრავლობითისა კი -ებ-ბოლოსართიანი ფორმები და არა -თა-სუფიქსიანი, რადგანაც -თა ფორმანტის მიხედვით ძნელია გამოცნობა—რომელ ბრუნვასთან გვაქვს საქმე.

4. დაკვირვებისათვის აღებულია არსებითი სახელები. ნაცვალსახელთაგან „მის“, „მას“ და „რომლისა“, „რომელსა“, როგორც უფრო დამახასიათებელი (არაა მიღებული მხედველობაში, გაურკვეველობის გამო, ნაცვალსახელები „ჩემ“, „შენ“, „ჩუენ“, „თქუენ“, „მათ“).

5. „წინაშე“ და „თანა“ თანდებულიანი მაგალითები თითქმის ყველა ამოწერილი დასახელებული ძეგლებიდან, ხოლო „ზედა“-ს შემთხვევები—ნაწილობრივ, რადგანაც ყველას ამოწერა. სიმრავლისა და ერთფეროვანების გამო, საჭირო არ იყო. ყოველ შემთხვევაში ამა თუ იმ მხრივ დამახასიათებელი მოვლენა აუცილებლივ ნაჩვენებია.

6. სულ შესწავლილია 22 ლიტერატურული ძეგლი; სახელდობრ:

A. ხანმეტი და ჰამეტი ტექსტები, გამოცემული ივ. ჯავახიშვილისა და ა. შანიძის მიერ: „ტფილ. უნივერს. მოამბე“, II, III, VII, IX.

B. შუშანიკის მარტილობა, გამოც. ილ. აბულაძისა.

C. „საბა განწმედილის ცხოვრება“, დამზადებული გვაქვს გამოსაცემად.

- D. აბო ტფილელის მარტილოზა, გამოცემა კ. კეკელიძისა.
 E. „თარგმანებაჲ ქება-ქებათაჲ“, ნ. მარის გამოცემა (TP, III).
 F. „ფიზიოლოგი“, ნ. მარის გამოცემა (TP, VI).
 G. „თულთაჲ“, გამოცემა R. Blake-ისა (Studies and Documents. II. Epiphanius de Gemmis), London 1934.
 H. დიონისე არეოპაგელის ავტობიოგრაფია და ეპისტოლე (ხელნ. A 19,95; დაბეჭდილია P. Peeters-ის მიერ შეცდომებით ათონ. ხელნ. № 57, Anal. Bolland., t. 39).
 I. კილ-ეტრატის იადგარი: აქედან ამოღებულია მხოლოდ „საგალობელნი აბო ტფილელისანი“ პ. ინგოროყვას გამოცემით („ძველ-ქართული სასულიერო პოეზია“).
 K. სინა-რაითის მამათა მარტილოზა 864 წლის „მრავალთაჲიდან“, გამოც. კ. კეკელიძისა („კიმენი“, გვ. 28—44; შემოკლებით კ); წამება პეტრე მოციქულისა, იქიდანვე (გამოც. ა. შანიძისა: „ძველი ქართულის ქრესტომათია“, გვ. 39—40; შემოკლებით შ); იქიდანვე ნაწილები, ნ. მარის გამოცემა (Описание Грузинских рукописей Синайского монастыря; შემოკლებით მ).
 L. ადიშის ოთხთავი 897 წლის; მათესი—იმ ფოტოპირის მიხედვით, რომელიც მოცემულია Mater. по Арх. Кавказа-ში, в. XIV, ხოლო მარკოზისა—R. Blake-ის გამოცემით (The Old Georgian version of the Gospel of Mark from the Adysh Gospels, Paris 1928, შემოწმებულია ფოტოპირთან).
 M. მოქცევაჲ ქართლისაჲ, გამოც. ე. თაყაიშვილისა (Опис. рук., II).
 N. აღშენებისათჳს ლუდიისა ეკლესიისა, გამოც. ნ. მარისა (TP, II).
 O. წარტყუნეაჲ იერუსალჰმისაჲ, გამოც. ნ. მარისა (TP, IX).
 P. ოპიზის ოთხთავი 913 წ., ვლ. ბენეშევიჩის გამოცემა, 1909 წ.
 R. ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ, გამოც. ნ. მარისა (TP, VII).
 S. ოშკის ბიბლია 978 წლის; აქედან გამოყენებულია ერთი ნაწილები „გამოსლგათაჲ“ წიგნიდან (ა. შანიძე, „ძველი ქართულის ქრესტომათია“, გვ. 68—71) და ორი თავი (III, VII) „ეზდრას წიგნისა“, გამოც. R. Blake-ისა (Harvard theologic Review, XXII, 1929).
 T. იაკობის ჟამისწირვა, გამოც. კ. კეკელიძისა (Древне-грузинский Архиаератикон), 1912 წ.
 U. იადგარი მიქელ მოდრეკილისა, გამოც. პ. ინგოროყვასი („ძველ-ქართული სასულიერო პოეზია“).
 V. სიბრძნე ბალაჰვარისი, გამოც. ილ. აბულაძისა.
 X. „გამოცხადებაჲ წმიდისა ჯუარისაჲ ზეით“, „პოვნაჲ პატროსნისა ჯუარისაჲ“, „პოვნაჲ სამშუჳალთაჲ“ ე. წ. „უდაბნოს მრავალთაჲიდან“, გამოც. ა. შანიძისა („ძველი ქართულის ქრესტომათია“, გვ. 44—54).
 Z. „წიგნი ეზდრა სუთიელისაჲ“, იერუსალიმის კოდექსიდან, გამოც. R. Blake-ისა (The Georgian version of fourth Esdras from the Jerusalem Manuscript: Harvard theologic Review, XIX, 1926).

წარმოვადგინოთ მაგალითები ამ ძეგლებიდან

თანდებული „წინაშე“

- A. უფლისა II, 374,8; მაგრამ: საკურთხეველსა VII, 125, 17.
 B. მეფისა I, 21; შუშანიკისა II, 7; IV, 2; VI, 6—7; დედოფლისა II, 7; V, 5; უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა XVI, 31—32; მსაჯულისა XVI, 29; მაგრამ: საკურთხეველსა II, 21.
 C. შთავარებისკოპოზისა ელიაჲსა 40,18-20; იაკობისა 53,33; მეფისა 64,18; 68,21; 69,20; სვეროლისა 72, 29; საშებისა 79, 12; ღმრთისა 104, 21; მის (სულიერი) 67, 19, 86; 27; მაგრამ: ეკლესიასა 7, 12; სენაკსა 55, 5; გოლგოთასა 71, 6.
 D. მსაჯულისა 68; 29; 69, 11; 73, 8; 74, 8; უფლისა 76, 34-35; 80, 7; მაცხოვრისა 80, 28.
 G. ღმრთისა 34, 10; უფლისა 83, 29; მეფისა 90, 12.
 I. მძლავრისა № 7, ტ) 68; უფლისა ტ) 41.
 K. ღმრთისა 20, 15 გ.
 L. მათე: მამისა X, 32, 33; ბჭისა XXVII, 11; ერისა XXVII, 24; მის (სულიერი)

VIII, 2; მაგრამ: საკურთხეველსა V, 24; პირსა XI, 10; სამარესა XXVII, 61.

მარკოზ: პირსა I, 2; შესაწირავსა XII, 41.

M. მეფისა 710, 723, 736, 786; დედოფლისა 745; მის (იაკობის) 718; მაგრამ: პატიოსანსა ჯუარსა 797.

N. პირსა 63, 14.

O. უფლისა კე 11; მეფისა მე 33; ნა 1,4-6; 6; 8; მთავრისა ნა 2-3; ერისა 6; 5, 18; შაჯულისა ნა 25; მაგრამ: გოლგთაოსა იბ 28-29; იბ 17; სამოთხესა კვ 3.

P. მათე: მამისა X, 33; მის (იესუსს) XXVIII, 29; მაგრამ: პირსა XI, 10; საფლავსა XXVII, 6.

მარკოზ: მის (ს უ ლ ი ე რ ი) X, 17; მაგრამ: ნაკურცხალსა XIV, 54.

R. ღმრთისა 6, 9; 17, 9; 23, 71; ქრისტსა 8, 9; 8, 16; 11, 38; 43, 14; კუროპალატისა 9, 6; 24, 15-16; მამისა გრიგოლისა 11. 13; 23, 57; კელმწიფისა 9, 4; 11, 15-16; დედისა ფებრონიასა 12, 23; 55, 43; მეუღლისა 23, 8; დედისა 29, 17; უფლისა 29, 62; წმიდისა ამის 34, 4; აბულასადისა 47, 1; მოძღურისა 48, 19; ნეტარისა 54, 11; დედუფლისა 56, 28-29; სამებისა 84, 19; მის (ს უ ლ ი ე რ ი) 41, 1; 58, 11; 84, 2; მაგრამ: ქარსა 6, 35-36; საკურთხეველსა 39, 31; 69, 39; სამწყსოსა 67, 3; პირსა 78, 34-35.

S. ღმრთისა 70, 24 უ, მალღისა (ს უ ლ ი ე რ ი) 91, 100 ბ; მაგრამ: ცხოვრებასა 92 ბ; ეამსა 92 ბ.

T. რომლისა (ქრისტსს) იბ 3-4; მაგრამ: საკურთხეველსა კე 8-9; საყდარსა ნა 8.

U. მაცხოვრისა ვ 134; მძღავრისა კპ 17; ღმრთისა კდ XI, ლბ IX; მონისა რე 81 რი 225; ქრისტსსა რკე 140; შაჯულისა რლბ 103; სამებისა რლე 262; მაგრამ: პირსა რლი 68; კიდაბანსა სქი 25; ჯუარსა სპე 345; ტი, 448; ტაძარსა ტვ 465.

V. მეფისა 5, 18; 7, 4; მეუფისა 9, 20; მისა 18, 8; ღმრთისა 20, 10; 24, 6; იოდასაფისა 40, 20; მამისა 56, 7; 71, 24; ქრისტსსა 60, 11.

X. დედოფლისა 48, 9.

Z. მალღისა ღმრთისა 346, 348; მის (ს უ ლ ი ე რ ი) 354; მაგრამ: პირსა 344; ადგილსა 356; სამოთხესა 356.

თანდებული „თანა“

A. იესუსს III, 72, 16; სულისა IX, 340, 47; რომლისა (ქრისტსს) VII, 128, 14; მის (ელისაბედის) III, 381, 14, 15; მაგრამ: კიდესა III, 388; V, 4; საფლავსა IX, 377, 34.

B. მის (შუშანიკის) III. 11; IX, 10.

C. დედისძმისა 5, 9; ბერისა 8, 26; 55, 28; ებისკოპოსისა 22, 20; 119, 29; მოწაფისა 59, 23; მამასახლისისა 119, 29; მამისა 101, 21; თეოქრისტსს 10, 8; 12, 1; დომენტიანოსისა 12, 25; თეოდოსისა 15, 19; ელისსს 22, 2; ზოვილსს 48, 8; გერონტისა 48, 2; ნონოსისა 97, 13; ოროგინსს 114, 30; მის (ს უ ლ ი ე რ ი) 7, 6; 8, 7; 11, 2; 17, 10; 28, 2; მაგრამ: გუნდსა 5, 4; მარხვასა 6, 32; განწყობილსა 18, 15; მონასტერსა 110, 16.

D. ნერსსს 63, 25; 64, 7; 67, 29; ერისთავისა 64, 9; ქრისტსს 70, 39; 73, 17, 20; მამისა და ძისა 78, 4; რომლისა (კაცისა) 70, 29; მის (ს უ ლ ი ე რ ი) 62, 3; 70, 16.

E. მამისა XXII, 21; ამის (სოლომონის) I, 61; სიბრძნისა (=ღმერთი) I, 13.

G. უფლისა 24, 7; დანის (ს ა ხ ე ლ ი ა) 39, 8; სტეფანსს 42, 11; პეტრსს 42, 14; გადის (ს ა ხ ე ლ ი ა) 45, 15; მაგრამ: კაცებასა 72, 16-17; კლდესა 20, 4-5.

H. მამისა, სულისა, ამოსის. მის (ს უ ლ ი ე რ ი); მაგრამ: გუამსა.

I. მამისა ზ 9; მის (აბოხს) ი 81.

K. წინაწარმეტყუელისა 8, 25 გ; მამისა 11, 12; 12, 2; 45, 14 გ; რომლისა (ქრისტსს) 94, 19 გ; მის (ს უ ლ ი ე რ ი) 33, 7, 12, 18; 37, 8 კ; აგრიპას 40, 11 უ; მაგრამ: მას ყოველსა (უ ს უ ლ ი) 41, 1 კ.

L. მათე: ზებედეს XXI, 4; იესუსს IX, 10; XXVI, 51; მის (ს უ ლ ი ე რ ი) V, 32; XXV, 10; დასისა XXVII, 66; მაგრამ: ნათესავსა XII, 42; გზასა XIII, 19; XX, 30; ერსა XVII, 14.

მარკოზ: იესუსს II, 15; რომლისა (ეშმაკისა) V, 15; IX, 17; მის (იესუსს) III, 14; მაგრამ: გზასა IV, 4; X, 40; მთასა V, 2.

M. მამისა 716, 770; ღმრთისა 763.

N. ქრისტეს 35, 9; იაკობის 59, 7; ებისკოპოზის 62, 14; კელმწიფისა 28,6; სელევეკოს, ნიკანორს 33, 8; მაგრამ: სახლსა 48, 4; კრებულსა 69, 5.

O. ღმრთისა იბ 6; მწყემსისა კვ 25; მამისა ნბ 27; მაგრამ: ერსა იბ 4.

P. მათე: აბრაამის, ისაკის VIII, 11; იესუს IX, 10; დედაკაცისა XIX, 10; მის (ს უ ლ ი ე რ ი) V, 27; XII, 45; XIV, 2.

მარკოზ: რომლისა (კაცისა) I, 28; იესუს II, 15; თავისა თჳსისა IX, 10; მის (ს უ ლ ი ე რ ი) V, 24, 37.

R. ძისა 44, 23; ქალისა 56, 3; ღმრთისა 58, 4; სულისა 58, 19-20; ავაზაკისა 78, 11; უფლისა 80, 90; მის (ს უ ლ ი ე რ ი) 6, 98; 8, 3; 12, 11; 48, 13; მაგრამ: ზრდასა 2, 51; კრებულსა 4, 11; სარწმუნოებასა 17, 5; ლოცვასა 22, 57; სიტყუასა 48, 8; გზასა 75, 2; მოწყალეებასა 82, 15.

S. კაცისა 70, 1 უ.

T. სულისა იღ 11, იმ 12; რომლისა (ქრისტეს) იუ 19-21, კთ 14, კ 14.

U. მამისა და XXXII; ქრისტეს მა X, რლმ 66; ქალწულისა მზ 17; ჰაბოოს სნე 227 დანიელის ნბ 153; მღდელისა ნბ 160; რებეკას ნბ 163; ევას (მკ 4; ადამის კმ 360; სულისა წმიდისა კმ 364; მოძღურისა რკბ 68; მაცხოვრისა რნბ 29; ავაზაკისა რნე 96; წინამორბედისა სკდ 119; ანტონის სკვ 150; მაგრამ: კრებულსა ნ 113, რიშ 188; ნათლისღებასა რნბ 43; გუნდსა რიშ 45; ჯუარსა სდ 52-53.

V. რომლისა (კაცისა) 50, 15; პირველისა (მეშაქი) 76, 17; მის (ს უ ლ ი ე რ ი) 6, 17, 19; 8, 15; 16, 19; 63, 20; 71, 21; 74, 31; მაგრამ: სიყვარულსა 46, 20; სიტყუასა 82, 18; გუამსა 83, 11.

X. მის (ს უ ლ ი ე რ ი) 53, 6.

Z. ისრაჲლისა 352; მის (ს უ ლ ი ე რ ი) 356.

თანდებული „ზედა“

A. მის (დედაკაცისა) III, 376, 7; მაგრამ: ქუეყანასა II, 371, 4; 372, 6; IX, 330, 8; ლოდსა II, 374, 2; ქვას II, 387, 8; ჯუარსა VII, 138, 13; საფლავსა IX, 331, 10; წესსა IX, 340, 47; იერუსალმსა IX, 340, 47; პირსა III, 370, 16; სახურერესა III, 372, 11; გზასა III, 379, 10; უდაბნოსა III, 379, 15; მას (ტაბლა, ნავი) II, 372, 5; 388, 6; კიცუსა VII, 134, 9-10.

B. შუშანიკის X, 18; XV, 2; მის (ს უ ლ ი ე რ ი) XIV, 3; მაგრამ: ქუეყანასა II, 15; VI, 21; ძეძუსა VIII, 17-18; სიტყუასა XVI, 40.

C. ნეტარისა (საბაჲს) 37, 26; მამისა 42, 11; მთავარებისკაოლისა 62, 1; მეფისა 83, 17; 94, 3; ფლაბიანს და ელიაჲს 63, 18-19; 69, 30; სევერს 69, 21; იოჲანს 74, 21; არიონის 77, 29; მაკედონის 77, 30; ეტუკის 78, 5; სილოვანს 84, 26; გელასის 110, 7; ასკიდას 118, 9 მის (ს უ ლ ი ე რ ი) 14, 3; 27, 16; 56, 2; მაგრამ: შრომასა 4, 14; მამულსა 5, 4; კანონსა 10, 14; პირსა 13, 8-9; 17, 2; ძალსა 14, 14; ქალაქსა 76, 1; 79, 1; იორდანესა 18, 8; ქუეყანასა 20, 6; ბორცუსა 29, 4; სარწმუნოებასა 78, 9; სამწყსოსა 116, 17; მას (უ ს უ ლ ი) 28, 33; ასპიდსა და იქედნესა 14, 21; ჯორსა 56, 1.

D. მის (აბოჲს) 68, 1; მაგრამ: დარსა 57, 30; თავსა 58, 36; უდაბნოსა 66, 15; სასანთლესა 67, 21; ქედსა 71, 12; ჯუარსა 71, 34; ზურგსა 73, 34; ურემსა 74, 29; გუამსა 74, 38; პირსა 75, 3; ადგილსა 75, 32; 79, 34-35; ქუეყანასა 76, 11; ნაყურცხალსა 80, 5; წმიდასა 68, 29.

E. მართაჲს და მარიამის XXIV, 17; მაგრამ: ქუეყანასა I, 105; II, 237; ისრაჲლსა II, 115; ძელსა XIII, 18, 24; ერსა XIII, 29; ცხედარსა XV, 18; შებლსა XIX, 27; თავსა XXI, 29; შჯულსა XVII, 55; ყრმასა II, 171.

F. ჰალაქსა 26, 12; მარტულსა 22, 12; კორცსა 10, 20-21.

G. მის (ქრისტეს) 38, 39; 39, 3; იუდაჲს 67, 6; რუბენის 23, 2; ელისს 33, 24; პავლს 81, 19; მაგრამ: ბზესა 23, 8; მდინარესა 37, 18; ხესა 38, 3.

H. მღდელისა მის; მაგრამ: სოფელსა, საბჭოსა, საყდარსა, მსახურებასა, კრებულსა, წარწყმედასა, ქალაქსა, გუამსა, კუერთხსა, ბაქსა, ლანკნასა, მას (სელისნა).

I. წმიდისა მოწამისა (აბოას) ზ 13, 18-19; 38.

K. მართლისა 6, 18 მ; მაგრამ: ცხედარსა 39, 20 უ; შემთხვევასა 30, 20 კ; თავსა 29, 24 კ; მთასა 36, 4 კ; კარსა 34, 12; 38, 10 კ; ქუეყანასა 40, 19 კ; ერთსა 41, 4 კ; უდაბნოსა 6, 18; 16, 2 მ; მას 30, 20 კ; კიცუსა 95, 30 გ.

L. მათე: მის (ს უ ლ ი ე რ ი) III. 16; IX, 18; XXVII, 27; მაგრამ: უდაბნოსა III, 3; გოდოლსა IV, 5; სასანთლესა V, 15; საკურთხეველსა V, 23; კლდესა V, 24; XIII, 5; XVI, 18; მქუშასა VII, 26; საზუერესა IX. 9; სამოსელსა IX, 16; დინებასა IX, 20; ერდოებსა X, 22; XXIV, 17; უბნებსა XXIII, 7; ცოლსა XXII, 24; ავაზაკსა XXVI, 55.

მარკოზ: მოძღურებასა I, 23; კლდოვანსა IV, 5; დაშტნობასა V, 25; ლანენასა VI, 25; უბნებსა XII, 38; ძესა IX, 12.

M. მის (ითრუმანის) 769; ამის (არმაზის) 769; მაგრამ: მდინარესა 708; ცხურსა 709; გზასა 709; არაგუსა 721; წყაროსა 735, 791; კიდსა 750; ჯუარსა 765, 796; წულსა 762; ყრმასა 782.

N. პირსა 34, 9; საქმესა 51, 4; შინებასა 52, 11; სარეცელსა 55, 5; ქუეყანასა 54, 6.

O. დისა მ 20; მაგრამ: იერუსალმისა ა 10, ბ 16, ჯუარსა ზ 10, იბ 32; ერსა იბ 21; სიონსა იბ 20; საკურთხეველსა იშ 2; პირსა ლგ 28; ზღრუბლსა მღ 6; კარაულსა კვ 9-10.

P. მათე: იესუსა XXVI, 50; მაგრამ: ადგილსა II, 9; გზასა V, 25; ცხედარსა IX, 1; თივისა XIV, 19.

მარკოზ: მის (ს უ ლ ი ე რ ი) I, 10, 40; V, 33; VI, 22; მაგრამ: ქუეყანასა II, 10; საზუერესა II, 14; მფუფებასა III, 24; კიდესა IV, 1; მწუანილსა VI, 39; მას (ზღუასა) I, 16; XI, 7.

R. გრიგოლის 42, 108; ეზრას 70, 38-39; მაგრამ: სიტყუასა 3, 12; 42, 19; სასანთლესა 4, 8; სახელსა 5, 24; 36, 5; საგალობელსა 17, 12; ტრაპეზსა 18, 5; იზხანასა 26, 36; 30, 31; საქმესა 36, 20; მონასტერსა 39, 15; წინამძღუარსა 34, 10; ყრმასა 67, 8-9.

S. ჯურღმულსა 69, 20 უ; უდაბნოსა 90 ბ; მას (თესლი) 98 ბ.

T. მონისა კე 13; მაგრამ: წესსა ე 3-4; საკუმეველსა ზ 16; ქუეყანასა კდ 5; კლდესა ჰბ 12.

U. მის (ქრისტის) კე 152; ს60 29; ეხეკიას მგ 83; მაგრამ: საფლავსა იდ XVIII; ჯუარსა იდ XX; ლოდსა იე XXIV; მსხერაბლსა ნა 129; კიბეა ნა VIII; მკუდარსა გრძ 32; საბანელსა სკმ 40; იორდანესა რბ 35.

V. გზასა 5, 21; 20, 29; მცერდსა 8, 19; საქმესა 10, 19; 40, 23; ცოდვასა 16, 22; პირსა 19, 26; სკორესა 26, 24; მას (უსუსლო) 82, 1; ამას (უსუსლო) 53, 18-19; 56, 16; 79, 40.

X. მის (ქრისტის) 49, 3; მაგრამ: მდინარესა 45, 14; ჯუარსა 47, 1; 51, 26; 53, 2; უდაბნოსა 50, 8; ველსა 50, 14; მკუდარსა 53, 7.

Z. ნათესავსა 322; ქუეყანასა 322; ცხოვრებასა 360; სიმაღლესა 366; სოფელსა 374.

როგორც ვხედავთ, განსახილველად აღებული თანდებულები ერთსა და იმავე დროს სახელს ორს სხვადასხვა ბრუნვაში თხოულობენ: ნათესაობითსა და მიცემითში. ეს მოვლენა, ვფიქრობთ, არ შეიძლება ჩაითვალოს რომელიმე ეპოქის ან კუთხური ენის, დიალექტის, თავისებურებად; შესწავლილი ძეგლები ეკუთვნიან სხვადასხვა ეპოქას, მეზოთე საუკუნიდან მეთათმდე, და სხვადასხვა კუთხესა და წრეში არიან აღმოცენებულნი. არც ის შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს მოვლენა გამოწვეული იყოს ამა თუ იმ ზმნის ბუნებით; ჯერ ერთი, ზმნა ამ შემთხვევაში უშუალოდ სახელს არ მართავს და, მეორეც, ერთი და იგივე ზმნა, ერთი და იმავე ფორმით, ხან ნათესაობითი ბრუნვის სახელის გვერდშია, ხან მიცემითისა; მაგალითად: „წარდგა წინაშე მეფისა“ (B I, 21), „წარადგინა იგინი წინაშე საკურთხეველსა“ (იქვე, II, 21).

გვაქვს თუ არა ამ შემთხვევაში საქმე რაიმე კანონზომიერებასთან, თუ ყველაფერი დამოკიდებულია ავტორისა და გადამწერის თვითნებობაზე. მათ სურვილსა და განწყობილებაზე?

ანალოგიურ მოვლენას ჩვენ სხვა ენაშიც ვხვდებით; მაგალითად, რუსული ენა რომ ავიღოთ და ყურადღება ორ წინდებულს—*в* და *на*-ს მივაქციოთ, დაეინახავთ, რომ ისინი მოითხოვენ ხან ბრალდებითს—*винительный*“, ხან წინდებულთან—*предложный*“ ბრუნვას; მაგალითად: *вошел в комнату—находится в комнате; поставил на стол—лежит на столе*. თუ რუსული ენის ამ ფაქტის ასახსნელად, სხვათა შორის, ისიც შეიძლება მიღებულ იქნეს მხედველობაში, რომ საქმე გვაქვს ზმნებით გამოწვეულ მოვლენასთან: *куда* (*винит.*) და *где* (*предложный*), ქართული მოვლენის ასახსნელად ასეთი მოსაზრება არ გამოდგება. მაშ რა უნდა ედვას საფუძვლად ამ მოვლენას? აკად. ნ. მარი, ეხებოდა რა აღნიშნულ თანდებულთა ფუნქციას, ამბობდა: „Они определяют лишь отношение к месту, но сами нисколько не управляют падежом“; კერძოდ „წინაშე“-ს შესახებ წერდა, რომ ის „сопровождает, смотря по тексту, падежи Р. или Д.“ [1]. როგორც ჩვენი მაგალითებიდან ჩანს, არ არის მართალი, თითქოს ეს თანდებულები „не управляют падежом“; თან—რას ნიშნავს „сопровождает падежи“, და ისიც „смотря по тексту?“ ეს შენიშვნები არათერს გარკვეულს არ იძლევა.

მაგრამ საჭიროა ჩაეუკვირდეთ თითოეული თანდებულისათვის მოყვანილ მაგალითებს, რომ ერთგვარი კანონზომიერება ვნახოთ, რის შესახებაც გვექნება საუბარი შრომის მეორე ნაწილში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტი
თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 2.2.1942)

ЯЗЫКОВЕДЕНИЕ

Академик К. С. КЕКЕЛИДЗЕ

К СИНТАКСИЧЕСКОЙ ФУНКЦИИ ПРЕДЛОГОВ „წინაშე“, „თანა“ и „ზედა“ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ. I

Резюме

В работе исследуется вопрос: какими падежами управляют названные предлоги. Дается анализ материала.

Подробное резюме будет приложено ко второму сообщению.

Академия Наук Грузинской ССР
Институт Языка имени акад. Н. Я. Марра

ციტირებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Н. Я. Марр. Грамматика древнегрузинского литературного языка, 1925, стр. 32—33.